სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

12 მარტი 2026

GOV N 182/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისთვის ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N24 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 64-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, შპს „სელფი მობაილი“-ს 2025 წლის 22 იანვრის N28/25 წერილისა და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 10 მარტის N3484 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების განთავსებისათვის, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტებზე:

ა) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის, წყალტუბო-ქუთაისის სატყეო უბნის, ცხუნკურის სატყეოს ყოფ. საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 146 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N29.05.43.006);

ბ) სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის, ხაიშის სატყეო უბნის, ხაიშის სატყეოს N14 კვარტლის N8 ლიტერში მდებარე 81 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N42.16.46.050);

გ) შიდა ქართლის სატყეო სამსახურის, ხაშურის სატყეო უბნის, სურამის სატყეოს N15 კვარტლის N1 ლიტერში მდებარე 110 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N69.04.59.291);

დ) რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის, ლენტეხის სატყეო უბნის, ლამხეთის სატყეოს N99 კვარტლის, N12 და N14 ლიტერებში მდებარე 151 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N87.06.24.001.057);

ე) სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის, ბაკურიანის სატყეო უბნის, ბაკურიანის სატყეოს N9 კვარტლის N29 ლიტერში მდებარე 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N64.30.03.846).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის N34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბესიკ ამირანაშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო